ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭო

ოქმი:**ო47. 47223492**

თარიღი:**15/12/2022**

**ჩოხატაურის მუნიპალიტეტის გენდერული თანასწორების საბჭოს**

**სხდომის ოქმი N5**

**დ. ჩოხატაური 30.11. 2022 წ**

**სხდომის თავმდომარე:** ზაალ მაამლაძე

**სხდომის მდივანი:** მარიტა მგალობლიშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:** ზაალ მამალაძე, მარიტა მგალობლიშვილი, მარინე ბერაძე, ნანა ცინცაძე, ნინო კაპანაძე, ლაშა თოლორდავა, ჯუმბერ ბერძენიშვილი, სოფო ჯინჭარაძე, ქეთევან სიხარულიძე, მანანა მინდაძე, თეა მამალაძე

**სხდომას არ ესწრებიან:** მაია გიორგაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ნინო რამიშვილი, მარინე თავაძე, ლაშა ირემაძე,

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირ ებით :

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მიერ გამოცხადებული საკონკურსო ნამუშევრების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა საბჭოს თავმჯდომარემ ზაალ მამალაძემ, კონკრეტულად სხდომათა დარბაზში შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობით ფართო ეკრანზე წარმოდგენილი იქნა ყველა ნამუშევარი, რომელიც გადმოგზავნილი იყო კონკურსის პირობებში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე chokhatauri.gts@gmail.com.

სულ შემოსული იყო 10 სხვადასხვა ავტორის ნამუშევრები.

განხილვის მიმდინარეობისას საკონკურსო პირობების დარღვევის გამო გამორიცხული იქნა გოგი ბოლქვაძის, ირინა ჭკუასელის, ანანო ჩხიკვაძის, ლუკა ჩანტლაძის, ია ხუხუნაიშვილის, გურამ ძნელაძის ნამუშევრები.

შემდეგი განხილვისთვის წარმოდგენილი იქნა ლანა კორიფაძის, ლაშა ჩხიკვაძის, ვიტალი კილასონიას და მარიამ სიხარულიძის ნამუშევრები.

საბჭოს სხდომის ყველა მონაწილემ დააფიქსირა თავისი მოსაზრება წარმოდგენილ ნამუშევრებთან და საკონკურსო პირობებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით საბოლოოდ კენჭისყრისთვის შერჩეული იქნა მარიამ სიხარულიძისა და ლაშა ჩხიკვაძის ნამუშევრები .

ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრას ესწრებოდა საბჭოს 10 წევრი.

კენჭისყრის შედეგად, მარიამ სიხარულიძის ნამუშევარმა მიიღო საბჭოს წევრთა 3 ხმა, ხოლო ლაშა ჩხიკვაძის ნამუშევარმა - 7 ხმა.

საბჭოს გადაწყვეტილებით გამარჯვებული ნამუშევრის ავტორია ლაშა ჩხიკვაძე, მის მიერ

წარმოდგენილი ნამუშევარი შეირჩა საბჭოს ლოგოდ და ავტორს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსგან ჯილდოს სახით გადაეცემა ფულადი თანხა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ოქმს თან ერთვის გამარჯვებული ნამუშევრის ელექტრონული ვერსია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი